



ნიანბი



სსსსსს
 სსსსსს
 სსსსსს
 სსსსსს
 17
 69

ძველი განცხადება:—ეჭვ, ჩემო დო, უენ რა ვიჭირს, ამ სიცივეში ორ-სამ თვეს თბილად იქნები მაულის ქვეშ, საოც მე შემოდგომიდან დღემდე ვიყავი; ესლა გამომაგდეს ასეთ სიცივეში!



ამ დღეებში ჩვენმა რედაქციამ მოაწყო რესპუბლიკანური თათბირი, რომელსაც დაესწრენ სოფლად მომუშავე ნიანგკორებიც. ზოგიერთი მათგანი საყვედურს განოთქვამდა რედაქციის მიმართ იმის გამო, რომ ყველა მათი მასალები ქურნალში არ იბეჭდებოდა.

— როგორ შეიძლება, ამხანაგებო, — დაიწყო ერთ-ერთი სოფლის ნიანგკორმა, — ყოველდღე მასალებს ვგზავნი, დღეში მარტო საფოსტო ხარჯები ხოთი მანეთი მიჯდება და ქურნალში ერთხელაც არ დაგვბეჭდილვარ, თუ სახეში არ მივიღებთ რამდენიმეჯერ გოდორში ჩემზე დაბეჭდილ ორიოდე პეკარს.

— ეს არის თქვენი „პირი სოფლასაკენ“? ასე ანხორციელებთ თქვენ სოფლისა და ქალაქის კავშირს? — საყვედურობდა მეორე.

— ქალაქის ნიანგკორებს რა უშავთ, — დაიწყო მესამემ, — რედაქცია „ყურას ძირში“ აქვთ, ყოველთვის დადიან ალბათ, რედაქციაში. ჩვენ კი, სოფლად მომუშავე ნიანგკორები, მოკლებული ვართ ამ საშუალებას. მე ვაყენებ საკითხს: ქალაქის ნიანგკორების სოფლად გავზავნისა და სოფლის ქალაქში გადმოკვანის შესახებ! — დაასრულა მან თავის სიტყვა.

— ამხანაგებო, — რიხით დაიწყო ერთმა მათგანმა. — ახანაგ ნიანგის დირექტივის თანახმად ჩვენ სოფლად უნდა ვამუღავნოთ ყოველნაირი ბოროტმოქმედება და დანაშაულობა რა სახისა და „წონის“ არ უნდა იყოს, ჩვენ სოფი შა უბრალო შემთხვევებს არ ჰჭონია ადგილი. ჩემი მასალები მუდამ ეხებოდა ადგილობრივ საქირბოროტო საკითხებს. მაგალითად, ერთი წლის წინად მე გადმოვგზავნე საინტერესო მასალა, რომელიც ეხებოდა ერთი გლეხის საზიზღარ მოქმედებას. ამ ხნის განმავლობაში მასალა არ დაბეჭდილა და ჩემს შეკითხვაზე იძულებული დაწერილებით რააჩია პასუხს არ მაძლევს. აი ის ფაქტიც:

ერთმა საშუალო გლეხმა მეორე მოკულაკო გლეხის კატას ფეხი მოტეხა. შეიქნა ერთი ობიოიურება. კატის პატრონმა მოანდომა ზარალის ანაზღაურება; დამნაშაიმი უარი განაცხადა. ამის შესახებ დ. ა. ლიონილი გადგზავნე რედაქციაში, მაგრამ რედაქციამ არ ინება მისი დაბეჭვდა. ასეთ დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ რიოაქციის მხრივ ბოლო უნდა მოეღოს.

ერთი სიტყვით, ზოგიერთმა ნანგკორებმა რედაქციას „ტყავი გააჭერეს.“

თვითკრიტიკის სახით უნდა ვაღიარო, რომ მათი საყვედური ნაწილობრივად სამართლიანი იყო.

რედაქციაში აუარებელი მასალებია დაგროვებული, რომლებსაც ვერ ვებეჭდავთ და ვერ ვაქვეყნებთ უმთავრესად მათი უფარვისობის გამო. მიუხედავად ამისა, რედაქციამ ყოველნაირი ზომები უნდა მიიღოს ქურნალში „სოფლის ნაწილის“ გადბეჭდვის შესახებ. რედაქციამ უკვე გადადგა ამ მხრივ ნაბიჯი *).

ამავე დროს საყვედურის დირსი არიან თვით ჩვენი ზოგიერთი თანამშრომლები, განსაკუთრებით ზოგი-

*) რედაქციისგან. დღეიანდელი ნომერი ამის მარცხენაგვერდით.

ერთი ნიანგკორები, რომე იბიც ფუთობით აგზავნიან მასალებს და სოფლად „ჩას ფეხის მოტეხის“ მეტს ვერაფერს ამჩნევენ.


ამხანაგმა ნიანგკორებმა უნდა მიიღონ მხიდიგლობაში, რომ „ნიანგი“ საქართველოში ერთ-ერთი სატირულ-იუმორისტული ქურნალაა, რომელიც თვეში სამჯერ გამოდის.**

ამატომ: უნდა სწერონ მოკლეთ. შეეხონ კონკრეტულ ფაქტებს და აშუქონ სოფ. ის საქირ“ როტო საკითხები. თუ ასეთი პრინციპი იქნება დაკოლი, ყველა მათი მასალები დაიბეჭდება ჩვენს ქურნალში.

ნიანგი.

** ზემოხსენებულ თათბირზე ერთ-ერთი ნიანგკორის წინადადებით გამოითქვა აზრი „ნიანგი“-ს ყოველდღიურად გამოცემის შესახებ. ამ საკითხის დაშუშავება მიენდო რედაქციის კანტორის გამგეს.

პირდაპირი გზებით



— კაცო, ამ შუღამისას რა გინდა, რომ კოოპერატივში მოხუღხარ? — სოფლად ამბობენ: ნოქრები დამით ანაწილებენ საქონელსო, და მეც მიტომ მოვედი, დღისით არაფერი უხედა.



„ასე, ჩვენც მანასეც...“

„ტურნალ „რელიგიის წინააღმდეგ“ — ის 1931 წლის 1-ლ №-ში მოთავსებულია ახ. გრ. გოგობერძის წერილი: „ანტი-რელიგიურ პროპაგანდის მორიგი ამოცანები“.

ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, რომ ავტორს ამ წერილისთვის ეწოდა: „ჩვენი გამარჯვება, ბურჟუაზიის დამარცხება და ყოფილ მღვდლებს ნეიტრალიზაცია“, ანუ: „ორ ფრონტზე ბრძოლა — მესამეზე შემართებლობა“.

რატომ! — იკითხავეთ? — აი რატომ: პირველ ნაწილში ავტორი აღნიშნავს ჩვენს წარმატებებს ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის და კოლექტივიზაციის განვითარების საქმეში. შემდეგ იხება ბურჟუაზიულ ქვეყნებში წარმოებისა და მეურნეობის დაკეცვას. დაბოლოს გადადის იმავე ბურჟუაზიულ ქვეყნების სასულიერო წოდების გაშმაგებულ შემოტრევის განხილვაზე საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ და მოყავს მათი გაბრაზებული ნაწიერები და სიტყვები.

შემდეგ გვიჩვენებს, რომ ძლიერ მორიდებული მოვეყრათ ჩვენ იმ ყოფილ მოადლობს. რომლებიც წინა არაფრით ჩამორჩებოდნენ — თუ წინ არ უსწრებდნენ, — ამ ბურჟუა-

ზიული ქვეყნების სამღვდლოებას ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში. მარა, როცა აღარაფერი გაუვიდათ და დამარცხებულებს თითონ მოუხდათ იარაღის (ანაფორის) დაყრა, ეხლა ყოველნაირათ სკდობენ თავისი ტყავის და ქონის შინაარსებებს, — ძველი დროის დაბრუნების მოლოდინში.

წარმოიდგინეთ თქვენ! — თურმე „ნასწავლი ყოფილი მღვდლები, რომლებმაც უარი თქვეს რელიგიაზე“, (რა თქმა უნდა, გასაბჭოების შემდეგ, თორემ წინეთ ასეთებს დღისით — მზისით ვერსათ იპოვიდით!) „ცუდი სახალხო მასწავლებლები და სხვა დასხვა დაწესებულებების თანამშრომლები იქნებოდნენ?“.

ახ. გრ. გოგობერძე დარწმუნებული ყოფილა იმაში, რომ არ იქნებოდნენ! ჩვენ კი, პირიქით, ვფიქრობთ, რომ ისინი არც სკოლებში და არც დაწესებულებებში შესაშვები არ არიან!

ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ „ყოფილი მღვდლობის და მათი შვილების დევნა-შევიწროება“ არ არის საჭირო და დასაშვები.

ვეთანხმებით, აგრეთვე იმაში, რომ „ბოლშევიზმის ზოგი საძირკველის ჩამყრენი და სახელოვანი ბელად-

ნი გამოვიდნენ სასულიერო წოდებიდან“.

მაგრამ დიდი ეჭვი შეგვდის იმაში, რომ რომელიმე მათგანს ანაფორა ცმოდეს, ის გაეხადოს და შემდეგ ბოლშევიზმის საძირკველის ჩაყრისათვის მოეკიდოს ხელი!

პირიქით, ჩვენ ვიცი, რომ ანაფორიან მამების წინააღმდეგ უყრიდნენ შვილები საძირკველს ბოლშევიზმს!

ჭეშმარიტად, სწორია ავტორის სიტყვები: „არასდროს არ უნდა იქნეს დავიწყებული ისიც, რომ რელიგიური ორგანიზაციები ჩვენი მოსისხლე მტრებია, რომ რელიგიის და კომუნისმის შერიგება ყოველად შეუძლებელია, რომ ისინი ორი მოპირდაპირე პოლიუსსა, დიამეტრალურად ერთი მეორის საწინააღმდეგოთ მიმართული და ნიადაგ ერთმანეთთან მებრძოლი“.

დიახ. არ უნდა იჩნეს ეს დავიწყებული და ამიტომ გვეკვირს ავტორის გულმართი ყოება რამდენიმე ბჭკარის სივრცეზე.

„არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.
ბრძენი მგოსნისა თქმულება
შენ არა, — ჩვენ კი ვიციოთ...
ს. თ — ია



მღვდლის, კულაკისა და მათი ამჟრის სურვილი საყოველთაო სწავლების წინააღმდეგ.

გ ა ზ ა რ უ ი

1.

- პაჩომ იაბლოკი?
- შესდესიატ კაპიკ, მადამჯან
- ჩტო, კილო?
- ნეტ მეტრო, მამიშენის ცხონე-ბამ.
- ჩტო ტი გლუპოსტი გავარიში!
- ვა, კავდა აკადემია აკონჩუ, ტალდა უმნი ვეში ბულუ გავარიტ, ა ტებერ პრაგულიაისა.

2.

- შეილო, ყველი თელავისა?
- არა კენინაჯან, პარიჟიდან ქართველ ემიგრანტებს გამოუგზავნი-ათ შენთვის
- მეხი შენც დაგაყარე და იმათ. მითხარ გირვანქას როგორ ყიდი?
- გირვანქა ოთხი მანეთი
- მაშ ერკოპში ექვსი აბაზათ რათ მაძლევენ?
- კენინაჯან, იქნება ერკოპს შენ უყვარხარ და მე კი ჩემ ცოლ სათა-ნიკას მეტი არავინ მიყვარს. მომშო-რდი რალა, შარი ხარ. გინდა, რომ ცოლმა რევივიოსტობა გამიკეთოს?

3.


- მეტაჩკე, ორი შაურის მწვანე-ლი გამიკეთე, პეტრუშკა, ქინძი, კამა და ნიორი.
- (დაცინვით) ქორწილი ხომ არა გაქვს სახლში, რათ გინდათ მაგდენი წვანილი?
- მაშინ ერთი შაურის მომეცით.
- ერთი შაურისა თუ გინდა, მო-ლი პიტნას უსუნე და გულის სურვი-ლი მოიკალ. შე მამაცხონებულო, შა-ურებში რომ ლაპარაკობ, რა ყო-რღანოვის კონკაში ზიხარ? მითხარ; მიტროჯან, ერთი მანეთის ქორუა წვანილი მომეთქო, რომ შენ გულს ჩემი წვანილი ესამოვნოს და ჩემ ჯიბეს კი შენი დაქმუქნული მანეთა-ანი.
- მოგკვდები და მანეთს კი მწვა-ნილში არ მივცემ.
- შენმა მზემ, შენ თუ მოკვდი, შე ვიცი შენს დამარხვანზე კათოლიკოსი ჩამოვა ეჩმიაძინიდან აი!

4.

- შეილო ძმარი გაქვს?
- დედიჯან, რაც დამხარებული ღვინოები იყო სულ დეზერტირაციის და მუხრანის ზაზარზე თავ ღვინოთ გასაღდა.
- მაშ ქალაში ძმარი აღარ იქნე-ბა?
- როგორ არა, ჩემო დედავ, ერ-კობი და „გროუზინსაიუზი“ ერთმა-ნეთს ეჩხუბებიან — დავა აქეთ იმაზე, თუ ვინ უნდა აწარმოოს ძმრის ქარ-ხანა. ამ ორ-სამ წელიწადში საკითხი გადაწყდება და მაშინ ძმარიც გვე-ქნება და ლორის მუუუუიცი.
- რატომ სხვა ქვეყნებიდან არ შემოაქვთ?

„სურამის ტიხე“

ჩაქვის საბჭოთა მამულის მუშა- მოსამსახურეთა კლუბის დამფუძნე- ბას საშეველი არ დაალოა.



— როგორ არა, განჯიდან და ერე ვნიდან მოდის ოთხი ვაგონი ნამდვი-ლი ღვინის ძმარი.

— მერე რათ დაიგვიანა?

— რკინის გზით გამოგზავნილი ძმარი შეიცვლით კავთისხევეში გა დმოუტვირთვავთ და იქიდან კი ეხ-ლა ტივით გადმოუგზავნიათ.

— რა, ძმარი ხეჭაჭურია, რომ ტი- ვით იგზავნება?

— ჟამანაკი იმნაირია, დედიჯან! ბალშევიკები იძახიან ფიცრები ახა-ლა ფაბრიკებისათვის გვინდა და კვდრები კი ხეჭაჭურის გოდრებში უიდა გავასვენოთო. წებო დალაყ, ჩემო ბებრუტანა, რომ სული გულს ფიცარზე მიგეკრას, თორემ ხოჯევა-ნქში დალეთის ხრამულივით გოდრიოთ მიგაბრძანებენ.

— ვინმე ცოდვილი გვირეგია და თუ სურამივით არ მოვაყოლოთ კედ-ლებში, ისე შენობა არ დამთავრდება.

— სხვა ვინ უნდა მოვაყოლოთ, თუ არა ისევ დათიკო.

— ერკოპის შტატის ჩისტკა დაი-წყო,

— მერე შენ რა!

— შე, ჯორის თავ-ფეხო, როგორ თუ რა. ჩვენი ბიჭები რომ გამოიჩის-ტონ, ჩვენ ხომ მშვიერი დავიხოცე-ბით.

— მაშ ამ საქმეშიც კოვზი ნაცარ-ში ჩაგვივარდა? რა გვეშველება?

— რა უნდა გვეშველოს: კოლხო-ზათ ჩვენ არ გამოვადგებით და სოვ-ხოზათ. ერკოპის იმედიც იკარგება.

— მოდი, მე მესაფლავეთ დავდგე-ბი და შენ კი არამიანცის ბალნიცაში კვდრები გაბანე.

— შენც პრელაჟენიე გამიკაუე-რალა! მამაგიცხონდება, ამ იზობრე-ტატელსტეოში შენც ათას თუმანს პრემიას მიიღებ აი!

— მოდი ინვალიდების არტელში ჩავეწეროთ, ანუ ქალთა შრომის სტა-ლაგოი ავილოთ არენდათ.

— სხვა არა დავგორჩენია რა, მოდი ბრადიავა ვალოდისათან წავიდეთ პრაშენიე დავაწერინოთ.

— აბა, ისე ასტაროყენათ მოიქეცი, რომ ლიობკი კავალერიის ანუ უდარ-ნი ბრიგადის ხელში არ ჩავარდე, თორემ ბადრიჯანის წნილივით და-გიმჯავებენ ცხვირს.

31988.

4

ბაღდადის დედასა და მამასა შორის

„ნიანგი“-ს

ფაფავი ნომერი

სპეციალური ნომერი

საქართველოს სასაბ-ჟოფის

10 წ. თავზე

სიპიტო უინაჟაე

(რუსულიდან გადმოკეთებული)

კოოპერატორი სიპიტო, ყინწაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა.

საქართველოში დარჩენილ მის მეგობრებს, თითქმის ყოველ კვირას მოდიოდნენ სიპიტო ყინწაძისაგან ასეთი შინაარსის წერილები:

„სალამი ამხანაგებს! ბერლინში ჩავედი — გერმანიის სატახტო ქალაქში, აღტაცებული ვარ აქაური სანსაობით.

თქვენი სიპიტო ყინწაძე.

„ქალაქ ლეიპციგიდან პარიზში მივემგზავრები ექსპრესით მივქრა! ვლახლოვდები პარიზის წარმტაც პირაუებს, უკვე ეიფელის კოშკის სახურავი გამოჩნდა. სალამი კეკელუც პარიზიდან.

სიპიტო

რამოდენიმე თვის შემდეგ სიპიტო ყინწაძე საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ჩარლსტონის კასტუმში გამოწვებილი, ტროსტით ხელში და პირში სიგარით. ამხანაგები და ნაცნობები ვეღარც კი ცნობდნენ და უცხოთაგანს ერიდებოდნენ.

— გამარჯვება „მოსიო“ სიპიტო! როგორ ხარ? რა ნახე საზღვარგარედ?

— რა სახლები, რა შენობები, რა ქუჩები, ბაღები, ელევები... თვალები მომჭრა, თვალები...

სიპიტოსთან მუშებიც მოვიდნენ.

— ვერ წარმოიდგენთ ამხანაგებო, რა წარმტაცი ქვეყანა ყოფილა ევროპა! მთელი დამე ქალაქები რეკლამის ელექტრომამუშეებით არიან აყვავებული. ყველგან წესრიგი და თავაზიანობა; რესტორანში ოფიცანტები პირდაპირ სულში გიძვრებიან. ფული გქონდეს ჯიბეში და — შენია მთელი ქვეყანა.

— რა მღვთვარეობაშია მუშათა მოძრაობა? — დინჯათ ჩაურთო ერთმა მუშამ.

— მუშათა მოძრაობა?... — ჩაფიქრდა ყინწაძე. — რატომ მაინც-დამაინც მუშათა მოძრაობა. თქვენ ალბათ სახეში გაქვთ მოქალაქეთა მოძრაობა, ე. ი. მათი ქუჩებში ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლა. ალბათ გაინტერესებთ ავტობუსების, ტრამვაების და მეტროპოლიების მოძრაობა: ჰო, ჩინებულად არის, ჩინებულად, მოძრაობის საქმე. ყველგან წესრიგია დამყარებული პოლიციელების მიერ.

— ბერლინში ალბათ საკმაოდ იგრძნობდით ოქტომბრის ნიავს ქროლას!

„გაუგებრობა“

მეგობრული შერქი

„მაშინ ზესტაფონის რაიონში ავტოტორებად იყვნენ პავლე საყვარელიძე („პატარა პავლე“ წოდებული)... პავლე საყვარელიძე („დიდი პავლე“) და სხვები“.

იხ. ბ. ბობინევილის „მეოთხედი საუკუნის მანძილზე“.



— ვერაფერი გავიგე! რომელია ამთში „დიდი“ და „პატარა“?

— რა დროს ოქტომბერია, მე აქ ავგისტოში ვიყავი: საუცხოვო ამინდები იყო.

— ალბათ წითელ ფრონტელთა კავშირს ნახავდით: სწორეთ ავგისტოში იყო მათი გამოსვლა.

— არ მინახავს „ვერ მოვიცალე: ოპერა, ბალეტი, კონცერტები, ბალები... თავბრუსმომხვევი გასართობებისა ყოველ ადგილას.

— უმუშევრობა ბერლინში დღითი დღე იზრდება. როგორ არიან უმუშევრები? ამბობენ — შიმშილობენ.

— არ ვიცი... არ შეგხვედრიან ყველანი სუფთად და მდიდრულად


ჩაცმული დადიან; რესტორნებში ყოველგვარი საჭმელი იშოვება. ტყუილი ტყუილია, კარგ საჭმელს იძლევიან, პარიზში ხომ ნამდვილი სამოთხეა. მთელი ქალაქი კაფეებით და შანტანებით არის მოფენილი.

მუშებმა ერთმანეთს გადახედეს მოწყენილად.

ყინწაძე მიხვდა, რომ ვერ ახერხებდა მისი საუბრით „უკულტურო“ მუშების დაინტერესებას და ხვა ჩაუწყდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

შვილო კირ. ლე!
ამ წერილს ჩვენი ბეუუს აიქს ვატან პარმენას შემთან.



შვილო, თუ კი პარმანაი დეიოხუეს ორი კვირით, შერა ღმერთი გაგიწყრა, რომ არ გამოგიშვეს. ამ ორ კვირას გაძლებოდი ღორის ხორციით, სულს შეითქვამდი პარმენასავით და მერე ქე წახვიდოდი თიფლისში.

ჰო, იმას გეუბნებოდი, ბიჭო, რეიზა არ ჩამოდი? პარმენამ ბიოხრა — იგი საინჟინეროზე არის, მე კი — ფინანსიურ-კონსტრუქციულ ინსტიტუტში ვსწავლობო, ჩვენ ლაგვიოხოვეს, იგი კი არაო.

რეიზა მოხდა ასე თუ იცი? ნეტა რომელი არ ემორჩილენა ჩვენს მთავრობას, რომ ასე თავის ნებაზეა ყოლიფერი!

მარა ამას თავი დავანებოთ.

ბიჭო, რა ოხრობათ გინდა მაი ინჟინერობა, შე სულელო!

ბეუუსკაის პარმენამ რაფერ უნდა გაჯობოს ჭკუით რომ მას უკეთესი სწავლა ამოურჩევია — ფინანსიურ კონსტრუქციის? შენ გგონია ფინანსიური არ ვიცი რას ნიშნავს? ფულებს ნიშნავს, ბიჭო, ფულებს! მე თუ კი ვიცი აგი, შენ რა ღმერთი გაგიწყრა! მარა „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“.

ბიჭო, ახლავე მიატოვე მაი ინჟინერობა, თორემ ვერ გადამირჩები ცოცხალი. რა ოხრობათ გინდა ინჟინერობა, ოხურგეთ-ნატანებს შუა კაი ხანია გეიყვანეს რკინის გზა. ოხურგეთიდან ჩოხატურამდე მალე გავა. შენ ინჟინერობა გათავებული არ გეჩნება, რომ ოხურგეთიდან შველვას მოადენს „პარაოზი“ ჩოხატურაში. მერე ჩამოდი და მესტუმრე „პოეზდით“ ინჟინერი შვილო, დაჯექი შინ კერიეს ძირში და ჩეჩე მატყლი.

ჰო და ამიზა გწერ ამ წერილს, რომ ახლავე გადახვიდე ფინანსიურ-კონსტრუქციულ უნივერსიტეტში.

სწორედ ეს არის ჩვენი საქმე. იმიზა სწავლობ, რომ ფული იშოვო და ამ სიბერის დროს წამეხმარო. ამხელა კაცს რავა არ უნდა გქონდეს იმის მიხედვით, რომ კონსტრუქციის ახლა არაფერი ჯობია. ფული და კონსტრუქცია ყოლიფერი ახლა და შენ კი რეებს ეპოტინები!

უკან არ მეიხედო, ისე ისკუბე და გადახტი პირდაპირ უკან არ მოიხედო, ისე ისკუბე და გადახტი პილიპირ ფინანსიურ-კონსტრუქციულ უნივერსიტეტში.

ჩვენს კონსტრუქციო აუარებელი საქონელი მოვიდა, მარა რათ გინდა, ფული არ გვაქვს და უფულოდ ვინ მოგვეცემს! მაშინ კი ისე არ იქნება.

აბა შენ იცი. ასე ქენი, თვარა არ დეენახო ჩემს თვალებს.

მამაშენი ანბაკო.

ი შ ვ ი ა თ ი ფ ყ ე ე ლ ა

(სამბრაქია)

სოფიო: — მემესპე, მემესპე; გადაშენდი, აგერია ოჯახი ისე, რავაც ჯიქთუბნის სამკითხველოა არეული.

დესიკო: — ოი, შენ არ გვიღირსა არაფერი სიკეთე, ისე, რავაც ნესტორე შარაშიძეს არ ეღირსა საარჩევნო ხმის უფლების აღდგენა.

სოფიო: — ოი, შენ დაგემტერეს თეძოები და დავილვს გვერდები, რავარც ეწრის კლუბია დანგრეული და დამბალი უპატრონოთ,

დესიკო: — მემესპე და გადაშენდი, გაგემსო ოჯახი ურწმუნოებით, რავაც ეწრის კოლექტივი შავსიელებით არის სავსე. აგერია ოჯახი, არ მოგეცა ხვავი არაფერში, რავარც ეწრის აღმასკომის საქმეებია არეული და არა აქვს ხვავი მის ნამუშევარს.

სოფიო: — დაგემსო თვალები, არაფერი სიკეთე გესმოდეს ყურებში, რავარც ქ. სამტრედიის პედტენიკ. მასწავლებლო შალიკო ჩხაიძის ახსნილ გაკვეთილი არ ესმის! მოწაფეებზე,

მწარელი კოლო.

დაშაქრული ჩაი

(სენა მცხეთის საღვურის ბუფეტში)

წერილი

მარტვილის ევოს



კოწია (ანდროს): — მოდი, ერთი გადავკრათ.

ანდრო: — როდის იყო ღვინოს გესამი?

კოწია: — ღვინო კი არა „შამპანსკი“ არ გინდა. წამოდი თითო ჭიქა ჩაი დავლიოთ...

ანდრო: — ქე არ გახიკვირდა, ღვინოზე მპატიუბდი მეგონა, — ბიჭო მეფე მირიანის მაგიერ სარ აქ და ჩაიზე მპატიუბ, არ გრცხვენია?

კოწია: — შენ კი ნაკლები ხარ აი. ფინანსთა მინისტრი წინად იცი ვან იყო?

(შედიან ბუფეტში).

ანდრო (ოფიციანტს): — ამხანა-

გო, მოიტა ორი ჭიქა ჩაი, ცოტა ჩქარა.

ოფიციანტი: — რაო, ამხანაგო? რის ჩქარაო, რა ჩქარაო... ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე. (თაქვს ორი ჭიქა ჩაი).

კოწია: — შექარი ამხანაგო.

ოფიციანტი: — დაშაქრული ვაგაღვთ.

ანდრო: — რომ არ ეტყობა? ალბად დავიწყობია ამხანაგო.

ოფიციანტი (გამოართმევს ჭიქას ანდროს და მოსვამს): — რაეა გეკადრებათ მაგი, უფრო ტკბილი ჩაი შეუძლებელია, (ჭიქას დაუდგამს და უკან გაბრუნდება).

ქვირფასო და მუდამ სანუგეშებელი საწყალო ეპოვ.

ნუ თუ ის, რაც დაგემართა აღარ გეყო? რალდ გჭიროდა შენ მსუნაგი ვირთხები (შენს მდგომარეობაზე ძალიან ვფიქრდები) შენ გამეგობამაც აღარ დაგინდო და ნოქრებმა ხომ ხაფანგი დაგიგო.

პირველი იყო ნოქარი იოსება, ქურღობა იყო იმისი ოცნება. დააცალიერა ევოს დახლი, მოატყუო ჩაოხი და მათი თანხით აიშენა ორსართულიანი სახლი, (მაგრამ ბოლოს წილად ერგო გამსახლი).

მეორეც იყო, რომელიც იოსებას არ ჩამორჩებოდა, „ევო“-ს ქონებით დიდათ სტკებოდა, გაქრუკანებში ღვინით სკობოდა და ტრახახობდა: კოპერტივი მე დავაარსეო და ყველაფრიდაც გავავსეო. „ევო“-ს აღმოაჩნდა სამი ათასი ღანეთის დანაკლისი: ვიცით, რომ ამ პიორე ნოქარმა ვადაუხადა მას პარაკლისი. ყველამ იცის, რომ ეს სწორია. მისი გვარი გახლავთ წოწორია. არ უკოფულები ხალხის და მანაი ნახა კედელი გამსახლის.

ესლა ვილაპარაკოთ იმაზე, ვინც ოცი წყვილი კალოში, ჩითით, მიტკალით და სამაი მანეთი ხურდა ფულით გახარა გული, სახლს სი დაადგა, სართულს სართული. შეიქნა ტიპი ვადა-არ-ოლი. ოთის გიტყვით მის სწორ მისამართს. რყოლის კი არა, ნამდვილად მართალს, საიდანაი ვერ წაიღებს ღამომათ ფართალს. ასეთი მომხიბვა ბიკრს აქვს ნახაი, ესლა მას ამოიჩინებს კიდელი გამსახლის. გახლავს ამდენი ნაწილად ბ...

არის კიდევ ერთი კაცი „შესაბრალოსი“, საწყალი, რომიოსაი იარ უშველის ვერავითარი ექიპაშის წამალი. შევიდა „ევო“-ში ნოქარა ხა საქონელი „ოხრად“. ვერ მოუთმინა სულმა ძეგრა ო... გოგომა. ვაკრა დედაციტორ საქონელს აბოლი. მაგრამ ჩეკამ პასაც დაოთრთხო ძილი. ეს უკანასანოი, მესამე დღეს რომ ჰკრეს პანოორი და გამოაგდეს, გახლავთ ღვინოვადი ვა...

აწი ზიოპიტია კიოხიბი. ყნდა გავრეკოთ ეპოთან ყველლა „ვირთხიბი“, ბ... ბიჭო რაბოლოოი წუწუწ ნ... ჩინო... დაცუნაოლობინ და გო... უმარ-თებულოდ უწუნებენ.

მ. ჯ. გ. რ. ა. ჯ. გ. უ. კ. ა. მ.



8

აღმასკ. ურფ. თაყვალომარჩი: რა დროს მიმხსნეს!.. სწორედ ახლა ვაპირებდი მუშაობის დაწყებას...

წმენდა სახკვანტრესტისა

სახ-კვანტრესტში არის წმენდა!
ისემც თავი ავიწმენდა,
აგიწმენდა ქოხი - მოხი,
ოთხ კედელში იგი როხი,
მკვარტლ-მურით რომ იფარება,
შიგ ქარიც რომ იპარება,
მოსისინე, ცივი ქარი...
რაც ბღენძია, სულ შიგ არი,
ქოხში არა, სახკვანტრესტში!
ჰა, ჩახედეთ ამ კონვერტში!
საჩივრის ყუთს იღო იგი.
წესი ითხოვს მას და რიგი
აპარატის სალი წმენდის,
რათა მუნით გადაწმენდის
შაენე - მუენე პირი — მისი,
სახკვანტრესტში რაც რომ ძვირი

არ არის და მწვიათი!
შიგ მსახურობს ათჯერ ათი
ტანადი და სუფთა ხალხი,
ზედ აღვით თითო კვანხი
და კვანტრესტის ეს წოდება,
ალბათ, მისგანც წაოთოსდგება,
კვანხებისგან, თავთა წილად,
სქელ კისრებზე დაბჯენილად,
თითო რომ ღირს თითო გროში,
რასაც ჰქვიან ამ ცხელ დროში
სახკვანტრესტის აპარატი,
რასაც, როგორც ფათარაკი,
მოშორება უნდა თავით
იმ გოგრას ან იმ კვანხავით,
სიდამპლე რომ უზის გოლოში,
ტრესტში — ამ წყალ-წაღებულში!..
შაზირა.

ველისციხე

(ილიასმეზური)

შკოი:ლი ნოელი ელექტრონისა
ჩვენ მძინარ თეატრს ზედ მოჰვენოდა;
მისი ღრმა ხვინვა და მისი ფშვენა
იგვლივ სივრცეში დაინტეხოდა.
არსაიდან ხმა, ყველგან სიჩუმე,
საშა-საშიკოს არას ეტყოდა;
ღროგამოშვებით, ისიც ხანდახან
ობოლი კინოს კვენსა ისმოდა.
მიდიან დრონი და ელექტრონიც
მძინარე თეატრს ელფერება,
ო, ძაო, საშა, ჩემო საშიკო,
როდის გავღირსოს თქვენ გაღვიძება?
„ლინტო.“

1
ჩინია

2
ორმაბათი

3
საშაგათი

4
ოთხაბათი



ყოველ წელში გამოდის სახელგამის კალენდარი.

აი, ეხლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემს წინ მაგიდაზე დევს 1931 წლის მაგიდის კალენდარი.

კალენდარში იწერება დიდი მოვლენების თარიღი, მზის ამოსვლა-ჩასვლა და დღის სიდიდე.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ვინც კალენდარში აღნიშნულ ცნობებს კრიტიკულად მიუღება და შეამოწმებს მათ სისწორეს უფრო საიმედო დოკუმენტებში, — ის წვრილმანი კაცია. მოცლილ კაცის გარდა, მე მგონია, არავინ ჩაუჯდება მათ შემოწმებას (სწორედ მეც მოცლილი ვიყავი, როცა სახელგამის კალენდარში ამდენი „ამერიკები“ აღმოვაჩინე).

ეს იცის ალბად, სახელგამამაც და ამიტომ მაინცდამაინც თავს არ იწუხებს მოვლენების სისწორეზე.

ისტორიკოსი არა ვარ. ამიტომაც არც ვეხები „ისტორიულ მოვლენებს“ სახელგამის კალენდარში.

ასტრონომია უფრო მეტერება. ამიტომ მე ავიღებ მხოლოდ „მზის ამოსვლა - ჩასვლისა და დღის სიდიდის“ გამოკვლევას. ამისათვის საჭიროა მხოლოდ არითმეტიკა, ისიც მთლად არა, მხოლოდ მისი მეოთხედი ნაწილი, ყველაზე უფრო ადვილი, რაც მე კარგად ვიცი — გამოკლება.

კვირა, 1 თებერვალი

მზე ამოდის 7—22
მზე ჩადის 17 15
ღლის სიდიდე 9—13

დღე არის—დრო მზის ამოსვლიდან — ჩასვლამდე. მათსადამე, ჩვენ რომ გამოვაკლებთ მზის ჩასვლას (18 საათი 15 წ.) მის ამოსვლას (7 საათ. 22წ.) დარჩება დღის სიდიდე.

ასეც მოვიტყუთ:

17 საათ. 15 წ.
7 საათ. 22 წ.

დარჩება: 9 საათ. 53 წ.

სახელგამს კი რატომღაც 9 საათ. 13 წ. რჩება დღის სიდიდით, ე. ი. 40 წუთით ნაკლები. რატომ „იპარავს“ ამ 40 წუთს სახელგამი? შესაძლებელია ეს „40 წუთი“ სახელგამმა „პროგნოზიკებს“ მისცა და აღნიშნა მხოლოდ რეალური სამუშაო დღე. (მაგრამ „პროგნოზიკებს“ დღეში რას ეყოფათ 40 წუთი!).

მეცნიერება სეკუნდებს აგროვებს მიწის თავისი ღერძის გარშემო ტრიანგულაციის და ამ სეკუნდებიდან ათეულ წუთების განმავლობაში დღეები გროვდება. სწორედ ასეთმა სეკუნდებმა მოგვცა 13 დღე, რომელიც მიემატა „ძველ სტილს“ და მოგვცა „ახალი სტილი“.

თუ სახელგამმა ასე ჩქარა აბრუნა მიწა ღერძისა და მზის გარშემო, ჩვენ ყოველწლიურად მოგვიხდება „ახალი სტილის“ შემოღება.

ამხ. სახელგამო, რა თქმა უნდა ტემპები კარგია, მაგრამ მიწის მოძრაობის ტემპის გაცნობელება, საზიფათო საქმეა. სხვისი თუ არ გენალვლება, თავი მაინც შეიბრაღე. შენი მალაზიები მიწაზე არსებობენ და თუ შენი ასეთი აჩქარებული ტემპით მიწა სადმე უფსკრულში გადაჩეხებ, ხომ დაიღუპენ ისინი.

გადავმალოთ ხვალინდელი დღე. მაგრამ აქ, ალბად სახელგამის შეცდომით, სწორად არის გამოანგარიშებული:

მზე ამოდის 7—12
მზე ჩადის 17—16
ღლის სიდიდე 10—04

დაიხსომეთ, რომ ორმაბათს, ორ თებერვალს დღის სიდიდეა 10 საათ. 04 წ. და გადაშალეთ.

საშაგათი, 3 თებერვალი

მზე ამოდის 7—11
მზე ჩადის 17—18
ღლის სიდიდე 1—07

მაშასადამე, დღის სიდიდე 1 საათ. 07 წ.

უხაროდეთ ზარმაცებს — 22 საათ. 43 წ. იძინებენ. ცხადია, ეს ამბავი კორექტორებს დაბრაღდებათ, მაგრამ ჩვენ მაინც ვურჩევთ მოქალაქეებს, რომ 3 თებერვალს, რომელსაც 22 საათ. 43 წ. დამე ექნება, მომზადებულად შეხვდნენ. წინადადებას ვიძლევი — 3 თებერვალი გამოცხადდეს უქმეთ, ვინაიდან 1 საათ. 07 წუთისათვის არ ღირს სამუშაოზე წასვლა.

გარდა ამისა, ყველა მოქალაქე მაგრად უნდა ჩაეჭიდოს რაიმე უძრავ საგანს (მაგ. ტრამვაის და ტელეფონის ბოძები, მცენარეები, სახლები და სხვა), რომ დედა-მიწიდან არ გადავარდეს, რადგან ის (დედა-მიწა) არაჩვეულებრივი სისწრაფით (1 საათ. 07 წ.) გაიზრდეს კოსმიურ სივრცეში იმ მანძილს, რომელიც უნდა გაეგლო ჩვეულებრივ დღის განმავლობაში და ასეთივე სისწრაფით იტრიალებს თავისი ღერძის გარშემო.


ასეთია მხოლოდ უახლოესი ამ სამი დღის მიმოხილვა.

სამაგიეროდ 4 თებერვალს ყველაფერი ნორმალურად იქნება:

მზე ამოდის 7—10
მზე ჩადის 17—19
ღლის სიდიდე 10—09
რინ-ტინ-ტინ.

ახალი ტექნიკაში წმორის წყალი

ტრაქტორისტი მიტრო არსენიშვილი ვიოოსიპედით სეირნობს და ყურადღებას არ აქცევს ტრაქტორის მოვლას. **ჯან.**



არსენიშვილის ახალი გამოგონება

გასაღწევი იმპროვიზირებული სალაგოს 6 საათზე:
ახალგაზრდულმატეგე-ბის—16 თებერვალს
ლიტერატურის წრის 21 თებერვალს

(საბარეჯო) იმპერიული

თავი პირველი

კუროსულ არს ძალითა ჯოჯოხეთისა, ტარტაროზო, მარჯვენა შენი, რომელი ასე მარჯვენითა სთურგნი ბოროტებს ქვეყანასა ზედა, ამინ.

რამე თუ ესე ამბავი არა არს მოჭრილი ენითა ჩემითა არამედ არის დამდასტურებული სიმართლისა. და მიაპყარ მას ყური, ვითარცა საჭიროდ სცნა. ალილუია, ამინ!

რამეთუ ესე ტფილისიდან იგზავნება სადგ. შეპეტოვკამდე ვაგონი ჩვენი რომელ ესე ვაგონს ემსახურებინ გამცილებლები სადგ. ტფილისისა, რომელნი მოქმედებითა თვისითა ჩირქსა ცხებენ პაციონას ამხანაგებსა, ამინ! და მოისმინე გვარები მათნი: **ხახვიაშვილი, გაჩეჩილაჩე, გვენცაძე, ლაგურაშვილი, გალუსტოვი და პირზადიანიცი.**

ესე ცოდვილი შეპეტოვკიდან ეზიდებიან კვერცხებსა დადებულსა ქათმებისა და ყიდიან სადგ. ბაქოსა ათასობით, ხოლო არცა ტფილისს მთავლებენ ერბოსა და კარაქსა და ყიდიან ხაზარას თათრისასა, რამეთუ არცა შეპეტოვკელებს იფიწყებენ, რომლებსაცა უმასპინძლებიან არაყითა კახეთისასა, ალილუია ამინ.

თავი მორამი

რამეთუ მოიხსენებდნენ სასუფეველსა ჯოჯოხეთისასა გამცილებლებს, სტეპანიანც და ფრუძიძესა, რომელნი სპეკულიანტობითა მისითა, არა დაუფარდებიან ზემოხსენებულთა ესე სტეპანიანცმა მატარბლით ჯულფისა

7 ნოემბერს ჩამოიტანა და გადმოტვირთა სადგ. ნავთულში არა კვერცხები, არცა ერბო და კარაქი, არამედ ნოეს ვაზის მონასხამი, ესე ყურძენი და წვენი მისი, რომელნი იქნებოდის არა ნაკლები ფუთისა ოცისა.

ნივთი ესენი ნავთულშივე გადაცალა ჩერვონცებში და შემდეგში გაემგზავრა ტფილისსა და შინა, ვითარცა ბატყანი ამრამისა, ალილუია!

14 ნოემბერსა ჩამოვიდა კახეთიდან გამცილებელი ესე ფრუძიძე, რომელმაცა ჩამოიტანა არაყები, არა ერთი თუ ორი ბოთლი, არამედ გავსეული ტიკები, ორი თხისა რომლებშიდაც იქნებოდის არა ნაკლები ვედრისა ხუთისა, რომელნი შემდეგისა დღეებისა გაუყენა გზასა მას შეპეტოვკისასა, ამინ.

თავი მისამი

რამეთუ ჯოგსა მათსა ეკუთვოდა გამცილებელი აივაზოვი, რომელი პეუსა ბაქოსა შინა, რომელმაცა ჩამოართვა ესე კვერცხები რიცხვით 1500-ისა და მოათავსა ადგილსა მომსვენებელთა შინა, ხოლო ოდეს მოიხელა ცოდვები მისი, გაანთავისუფლა გამოსტუმროს ესე ტფილისში თან გამოატანა ოქმი დაწერილი მარჯვენითა მისითა.

ესე ოქმის ძალითა გადასკუბდა მატარებლისა გახეთქად საბარეჯოსა შინა და დაბანია ხელი შეპეტოვკისაგან გამგზავრებაზე უკუნიითი უკუნისამდე, ამინ!

პარკი - ბურკი

არსენას ლექსი სცენაზე

ათას-ცხრაას ოცდა თერთმეტს, ძველებურად ჩმ დღესა, ამა ლექსის დამწერელი არსენაზე წავიდესა. ძლივს ბილეთი შევიძინე, ხალხი ბლომდ მიაწყდესა. გამწიეს და გამომწიეს, „ვეშოლკაზე“ მიმაგდესა. თეატრია მოწყობილი — საღ შეხედები უკეთესსა! შომეწონა. წარმოდგენაც თავის დროზე დაიწყესა. გამობრძანდა არსენაი, კონტა ცხენი მოართვესა, მაგრამ ცხენი ოჩანაი, უკან-უკან წავიდესა. ერთი გოგოს გულსათვის, ის ყაჩაღად გავარდესა. „მდიდარს ართმევს, ლარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა!“

ჰა, ბატონი ღიბიანი, ტახტზე ნაწად წამოწვესა. „გოგო ფეხი დამფხანეთ“ — ეტყვის და თან ჩიბუხს სწევსა.

ეს გოგონა მშვენიერი ფეხებს ისე უფხანდესა, თითქმის კარგი დამკვრელია და არფაზე უკრავდესა. ყუკლაფური დაგვანახვეს, რაც რომ წიგნში დაბეჭდესა, ყაზახუბა, კინტობი. ნეჩისენიც გვაჩვენესა. — ჩვენს ნიჭიერს ჩეჩისორას არაფერი გამოჩრესა, აქეთ ცეკვა, იქით ცეკვა, მხოლოდ ცეკვით გავკართესა, ეს შალიკო ღამბაშიძეც ბაღდაღურად აცეკვისა. ძლიერ ბევრი გავიციანე (მოუხდებია ჩემს ნერვებსა). მხოლოდ როცა სახლში მოველ, ჩემ ნელიკოს ვუთხარ ესა: დიდებს სულ არ მოეწონათ, ბავშვებისთვის ივარჯესა.

ფირუზა.

ლიზა:—გოგო, რას მიქარავ შენი
ქენია:—მიქარავ და ერთი საჩაბალაზე მტრაც.

ლიზა:—გირჩევია ჩემ შეყვარებულს ჩამომორდე, თორემ საგარეჯოდან გადავასახლებ და ისეთ „ოჭი ბილეთს“ აგაკერებ, რომ შენს სიცოცხლეში სამსახურის დღე ვერ ნახო.

ქენია:—ვისი იმედი გაქვს ასე რომ გათამამებულხარ—

ლიზა: ვისი იმედი მაქვს და, შენ ჯინაზე, ისეთ კაცს შეუყვარდი, რომ მეუღლე რაიონში პირველი თუ არა, მეორე კაცი მაინცაა.

ქენია:—გაი შენს პატრონს. შეყვარებაზე თუ წავა საქმე, ჩემი შეყვარებული ამ რაიონში ყველაზე უფრო დიდი კაცია, ყველას ახანჯარებს წილში მის დანახვავზე.

ლიზა:—მაშა, მიტომ არის, რომ ღამობობით „ლიზებზე“ მუშაობ აღმასკომში?

ქენია:—არც შენ აკვლავ ხელს, ყოველ ღამე შენ მორიგებო სათავმოფლოში, გუშინ წინ გათენებისას მიღაცალედა ისე მიათ კაცი მაქედან.

ლიზა:—ქენია, იცოდე მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, რას ქვა მიღაცალედა! მაგისანა სიმპატიური კაცი ამ არე-მარეში სიგ არ მეგულედა, ყოველმხრივ მოსაწონია: თავდაბალი, ცოტა შთაბრძანა და არც მაინც და მინც თავდადებული პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში. ისეთი ალტრისანი და თავაზიანი, რომ...

ქენია:—მაგას კი მართლს ამბობ, მეც ასე მიქციე ა.

ლიზა:—რას ამბობ, ქენია? შენშიც იყო შეყვარებული? რადგან მასეა საქმე, მაინც არ გავებო, რაც უნდა მოხდეს, მაგრამ ვისარგებლებ მის თანამდებობით, სადავამოფლოს გამგეთ დანიშნვას მპირდება.

ქენია: მეც მასე ვარ, შენ გგონია იმას წავყობი, მაგრამ სამსახურიდან მხსნიდენ და მაგან შეჩირა საქმე.

ლიზა:—ასე, რომ შენ, ჩემო ქენია, მაღლე პატრონს სიტყვას, რომ ჩემ სოსიკოს აღარ დაელაპარაკები?

ქენია:—სოსიკო ვინაა?

ლიზა:—სოსიკო მისი საიდუმლო საყურელია, რომლითაც ერთმანეთს შორის მიწერა-მოწერას ვაწარმოებთ, რომ არავინ დაგვიპიროს წერილი, თორემ მას ნამდვილი სახელი სხვა ქვია...


ქენია:—არა, მე არ ვაგვიც მხმს, მაგრამ ჩვენი აქ ყოფნა ძალზე საშიშია. მაგ ორ კაცს ორივეს კაოგი თანამდებობა აქვს და აღარაფერს აღარ აკეთებენ. დღით ჩვენ შემოგვიტევიან ხოლო ღამით—ფლირტის თამაშს უწდებიან.

ლიზა: მაგაზე დამიფეხა დარდი. თუ მოხსნიან, მაგათ ადგილზე სხვა მოვა და შემდეგ იმაზე დავიწყებ, ეგებ უკეთესებიც მოხდენ ლაჩარეიაში, არ გეგონოს, თითქმის პიროვნება მომწონდეს, არა, ჩემო ქენია, მე თანამდებობას ვვარსიყები და მით ესარგებლობ.

ქენია: მაშ მოიტა ხელი! მეც მაგ აზრისა ვარ და არ გეჭონია სადავო, ჩემო კარგო, შეუწყობთ ხილი ერთმანეთს.

ჩქიანი.

იონას იონა



— ხომ არ გაგიყვებულხარ, კაცო, ამდღით! რამ გადაგვრია? რას ლაპარაკობ! — ხმა-მალლა ეუბნებოდა ხევის აღმასკომის თავმჯდომარე „ეპო“-ს ღამის ყარაულს.

— ამხანაგო, მე გეუბნები რაც მართალია და რაც ჩემი თვალით ვნახე. საექიმო პუნქტის გვერდით ვიდაცას ახალი შენობა დაუდგამს წოხელის.

— კაცო, ერთ ღამეს კი არა, ათი წელიწადია ვაშენებ ერთ დანგრეულ ქოხს და ჯერ კიდევ ვერ მომითავიბია. რაფერ შეიძლება კაცმა ასე უცებ შენობა ააგოს! — მიეცა ფიქრს თავმჯდომარე და საექიმო პუნქტისაკენ წავიდა.

ჯერ მისულიც არ იყო, რომ ახალი შენობა დაინახა.

— ეხლა დამიჯერებ რომ მართალს გელაპარაკებოდი? — შეეკითხა ყარაული.

— მართალს ამბობ და ეჭვიც არ წუნდის. მაგრამ შენ სად ჯანაბას იყავი წოხელის რომ ვერ დაინახე?!

— მე „ეპოს“ ვყარაულობ და არა საექიმო პუნქტს.

ახალ შენობასთან მივიდნენ. სახურავიდან ბოლი ამოდებოდა. შიგნიდან დაპარაკი მოიამოდა. აღმასკომის თავმჯდომარემ კარებზე დააკაკუნა. უცებ კარები გაიღო და გარეთ მასპინძელი გამოვიდა.

— ჰა, მობრძანდი, ბატონო. ახალი მოწყობილი ვარ, წესრიგზე ჯერ კიდევ არა მაქვს ყველაფერი, მარა იმედით მაქვს არ დამპრობაზე. მობრძანდით, თითო „რონკა“ არაყი მიირთვიტ, დამილოცეთ ახალ სახლში ცხოვრება! — უთხრა იონამ თავმჯდომარეს და „ეპოს“ ყარაულს.

— არა, მაგიაი დრო არა გვაქვს. ვინ მოგცა ნება აქ დასახლების? ან როგორ მოასწარი ასეთი ერთი ხელის დაკვრით სახლის დაღმა?

— მაგი რა გასაკვირია, კაცო. ნება კი არაგია მოუცია. — უპასუხა იონამ. აღმასკომის თავმჯდომარემ თვალი მოკრა: „ახალ შენობაში“ ცეცხლი გუზგუზებდა. ცეცხლზე ქოთანში ლობიო დუღდა და ჩაოი მაკყოს რთავდა. თავმჯდომარეს გული მოუვიდა და მოინდომა იონას დაპატიმრება.

— თქვენ უნდა წამოხვიდეთ ჩემთან აღმასკომში და იქიდან ადაგზავ-

ნით ჩონატურში. თქვენ მიითვით თემის მიწა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

— მე არაფერი საერთო თქვითან არა მაქვს. უკლიათ თავისუფლად მიბრძანდეთ! — ყმედათ უპასუხა იონამ თავმჯდომარეს. შეიქნა ხმაურობა. ახალ შენობას აუარებელი ხალხი მოაწყდა. გაკვირვებით შეყურებდნენ „ახალ შენობას“, ზოგი კი, სიცილი-საგან „მუცელზე სკდებოდიან“.

აღმასკომის თავმჯდომარემ დასტოვა „ახალი შენობა“ და ტელეფონით ჩონატურს გამოუძახა:

— გამომიგზავნეთ თორმეტი შეიარაღებული მილიციელი. საქმე შემდეგ შიგნით: იონა მამალაძემ, მცხოვრებმა სოფ. ბუქსიეთში დასტოვა თავისი სამოსახლო და წუხელ ღამით თავისი სახლი დაღვა სოფ. ხევის საექიმო პუნქტის გვერდით. ყოველივე ეს მოხდა ღამით და ამისათვის გეგსაქიროება დამხმარე ძალა, რათა ხსენებული პირი დავაბრუნოთ ისევ ბუქსიეთში. რაო? ჰა! რაო? ჩამოვართვათ ბუქსიეთში კუთვნილი მიწა? მეტი არაფერი! ჰა! ჩონატაური! ჩონატაური!.. ჩონატაური!.. ჰა.. არ გესმის კაო? ჩონატაური! ჩაოაქის მილიცია? ჩონატაური!.. ქალაქის მილიცია?.. აი დაეყოფა (ვეცხლმა! სათ ჯანაბაში გაქვენ ასე უცებ! — გოლომოსურ მა თავმჯდომარემ მილი ჩამოკიდა და ვიდაცას ჩუმად მაგრად შეყურებდა.

მეორე დღეს ახალ შენობაში გაიმართა დიდი წვეულება.

საპატიო ადგილს იკვდნენ უსტამშენებლები: ტიმოთე რაჭველი ხუთი შეგარდებით, გიორგი მამალაძე თათისი შეგარდებით, მახაბელ ჟონტი თათისი შეგარდებით და სხვა მრავალი მტკითმზიდავები.

დიდი მადლობა გადაუხადა იონამ თავის წვეულებს, უმთავრესად კი იონარდანე მამალაძეს, რომელმაც ეს საქმე მოუწყო.

იონასაც დაპირდნენ თავისი სტუმრები, რომ გაისათ, თუ ყველა „მედრათ“ იქნენ, გადაიტანონ აგივე შენობა ასე ერთ ხელის დაკვრით ჩონატაურის მილიციის გვერდით.

პ. ს. ს. ს.

რეპორტი

დაპყრობა

დუშეთი. მესაქონლეობის კავშირი დიდი ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს ყოფ. ვაჭრებმა, რომელმაც ფორმალურად გამგეობა არ გადააყენეს, მაგრამ ხაზი მათი ტარტება.

იქმინა. მოსამართლე ხუციშვილის ინიციატივით დაარსდა „კულაკთა დამხმარე საზოგადოება“, რომლის მდივნად დანიშნულია აღმასკომის მდივანი მაშარული.

წიწმატი

განაწილება

ქაზებში (ანდუზიტის წარმოება) ნაცნობ - მოყვრები კმაყოფილი არიან ასლამაზოვისა, რომელიც სამართლიანად უნაწილებს მათ დეფიციტთან საქონელს. უკმაყოფილებას მხოლოდ მუშები გამოთქვამენ.

ა. შ.

დაკარგვა

ქუთაისი. ფარცხანაყანევი კულაკ კილაძის ოჯახში ქეიფის შემდეგ ინსტრუქტორმა ვარლამ გაბრიძემ, როცა მთვრალი ბარბაცით მიდიოდა, დაჭარბა პორტფელი, რომელშიაც იყო მისი (ვარლამის) თავი. მხოვნილებს სთხოვეს — პორტფელი დაუბრუნოს. ხოლო თავი საჩუქრად დაიტოვოს*).

ოკანი სწორნი

დუშეთში. გიორგი ილიევსა და ლავრენტი აფხაძის შორის ჩამოვარდნილმა ჩხუბმა სიმთვრალის დროს წილეთ სასადილოში ბაზრის მანალოზად დიდი ყურადღება მიიპყრო. გატყდა რამდენიმე ცარიელი ბოთლი და თავი (აღზად თავი ცარიელი).

გატყხილი თავი მოთავსებულია... (გამოტოვებულია ნიანგის კუდი).

ახალი-აწყობი

გამდინარი მარცხი

საპატიო ადგილს იკვდნენ უსტამშენებლები: ტიმოთე რაჭველი ხუთი შეგარდებით, გიორგი მამალაძე თათისი შეგარდებით, მახაბელ ჟონტი თათისი შეგარდებით და სხვა მრავალი მტკითმზიდავები.

(კულუმბური)

თვითდასამარების კვირეული


ამაღლებებ (გურია) მასწავლებელი სერგო დარლიძე უკვე შეუდგა სოფლად ობლიგაციების (უნდა იყოს — თვით დახმარებას) ფულის შეგროვებას. შეგროვილ ფულის ჩაბარებას (თავის კუჭში) ყოველდღე აწარმოებს. (სუ-ლი)

*) ცარიელი, მარტო თავი ვის რად უნდა.



გაყამაწია

„ზაკუმლესტრესტში“ დიდ ძენ-ლა-შემოხლასა აქვს ადგილი- თუ ვის კაბინეტში დაჯდეს პროტექციით მიღებული ნალბადიანის ქალი. მოსალოდნელია ხელჩართული ბრძოლა.



ლა. თვითონ ქალი ნეიტრალიტეტს იცავს, რაც კიდევ უფრო ადვილებს ტოფობის ხანძარს. განზრახულია გამოიძახონ სახანძრო რაზმი მოსალოდნელ ხანძრის ჩასაქრობად.

უზრის-ძიება

— აბა, ესლავე გაიქეცი კოოპერატივში, კალოშები მოსულა! — უთხრა დარაჯს საჩხერეს საღვურის უფროსის თანაშემწე დარაჯს და კალოშის ნომერი დაუწერა ქალაქზე.

უარით დაბრუნდა დარაჯი. გაჯაგრდა გველესიანი (იმავე საღვურის უფროსის თანაშემწე) და კოოპერატივს ქალაქი გაუგზავნა.

№844-21, 21-იანვარი

სამი საათის განმავლობაში წაიღეთ თქვენს სახელზე მიღებული ნავთი; წინააღმდეგ შემთხვევაში გადისდით 100 მანეთს ჯარიმას და საქმეს პროკურორს გადავცემ“.

სადგ. საჩხერის უფ. თ. გველესიანი — აკი გეუბნებოდი, გავუგზავნო კალოშები თორემ არ გავგზავრებს. ხომ იცი როგორი კაცია! თუ პატივი ეცი, კრინტსაც არ დასძრავს ვაგონების გაცდენაზე! — უთხრა გამგეობის წევრმა თავმჯდომარეს.

კოოპერატივის გამგე კოსტა საგონებელშია: „მისცეს კალოშები გველესიანს, თუ 100 მანეთი ჯარიმა გადაიხადოს?“

უპასუხეთ ვინმემ, მაღლია! **შენახვა**

თქვენ გგონიათ — შემნახველ სალაროში მართო ფულის შენახვა შეიძლება? არა, — სხვა რაჰის შენახვა? შეიძლება. მაგ. ოზურგეთის შემნახველ სალაროს თავის კედლებში ინახავს... მაგრამ თვითონ შალიკო ურუშაძეს მოეუხმინოთ... მასაც გაუკვირდა, როცა ის შემნახველ სალაროში მოეწყო: — სწორედ ჩემი საქმეა შემნახველი სალარო. „ოცდაერთი“ ჩემსავით მგონი პანტელიმონ

გოგატაძესაც არ უყვარს. ფული ხელთ მექნება... გიყვარდეს თამაში. მართალია, კონტრაბანდიდან (მე ხომ პირველი კონდრაბანტისტი ვიყავ) მეტი შემოსავალი მქონდა, ვიდრე ლაითურის მუშაკობიდან, მაგრამ ეს შემნახველი სალარო სწორედ საჩემო საქმეა. თუ წინედ ვაპატიურების ცდამ არ გამიშართლა, აწ იმედი მაქვს რომ შევძლებ!



შალიკოს შემნახვილ სალაროში მოწყობა გაუხარდა. მას და არ მძებს, რომლებიც (საილა ვაჭრები არიან: — ხელს გავეწი, როცა სკროების დროს შალიკოს!

ახირებული მოკვიფა

კიათურის მეტრენთა კავშირის ათმჯდომარე (ვაშაძე) „პურ-მარილიანი კაცია“. იშვიათია ისეთი დღე, რომ ის მთვრალ... უკაცრავად უზიზელი იყოს.


— დროით უნდა ვისარგებლოთ, თორემ ყოველთვის თავმჯდომარეობა არ ვიქნები! — ამბობს თავ-რე და განაგრძობს ქეიფს:



— მოდი აქ შენ, მაღაროვლო, და დალიე ეგ დვინო, — თორემ ეს არის გაგათავე ახლავე! — და რეველმე-რის ტუჩს შუბლზე აბჯინებს სტუმარს, რომელიც შიშისაგან ცახცახებს და ღვინო ყელზე ადგება. ამ საქმეში ვაშაძეს დიდ დახმარებას უწევს სიკოვიჩიც.

პირიძი

მშვენიერ გუნებაზე დადგა გრიშა წერეთელი, როცა კიათურის „პრომსტროის“ კედლის გაზეთში თავისი თავი ნახა „გამოკიმული: ვაუბატონი წერელი ხარბია და ინტრიგანი. ასეთ გმირებს მუშებისგან უნდა გუყოთ „განი“...“ „განი“... წაიკითხა გრიშამ ეს და გაუხარდა:



— ეს კარგი ნიშანია, ალბათ უკმთესი დღეილზე გადამიყვანს აღმინისტრატია!

ჩადიოს მომვარული

ერთ მწერალს, რომელიც გაასადღიბადება, ასეთი მოთხრობა აქვს: პანომმა ქალაქში განათებული ელნათური დაინახა. მოეწონა. — ნავთი არ უნდა და „სპიჩა“, ჩამოკიდებ და აენთება — და პანომმა გადასწყვიტა ელნათურის მოპარვა. ყრუ ადვილს უღვივ მოახერხა ეს საქმე.

— როცა დაბნელებდა, გაანათებს უთხრა ცოლს. დაღამდა. ცოლქმარმა ჩამოჰკიდა ელნათური, მაგრამ ელნათურმა არ გაანათა.

შემდეგ მოთხრა: არ არის ჩვენთვის საინტერესო. ისე თუ ვინმეს გაინტერესებთ, გეტყვით: გულმოსულმა პანომმა ელნათური ნამტვრევებად აქცია.

ასეთივე ამბავი დაემართა იგოითის (კასპი) მცხოვრებ გურგენიძეს, რომელმაც გატუნა სამკითხველო და რადიო სახლში გაიტაცა.

დახეთ რადოს ჯიუტობას: თუ სამკითხველოში ლაპარაკობდა და მღეროდა, გურგენიძის ოჯახში დამუნჯდა. სიმღერა კი არა, ენა მუცელში ჩაუფარდა. მას შემდეგ რადიო დამუჯნდა და ესლავ გდია კუთხეში.

მ უ ხ რ უ ზ ი

გოდება

„საიუზტრანსის ზოგიერთ განყოფილებებში ხშირია შემთხვევა, მიღებული საქონლის უპასუხისმგებლოდ დროგებზე დაყრის, გადაგზავნისა და არა დანიშნულებისამებრ ჩაბარებისა, რაც იწვევს საქონლის გაფუჭებას, დაზნევა-დამტვრევას, ხელშეკრულად გადაზიდვით ზედმეტ ხარჯებს.“



სხვა ზეგავლენის მეთოდო იმისთვის არსად არის: უყვარს სიფათში მუშტის კერა. გამოდინება ძმარისა, მიმინაშვილო, ვასილავ, მიმინოს გიგავს თვალები; ხათანვს ერიდე, დაფეროთხვენ, ხიფათს ვერ დაემალები;

„ყანწი-ყლუნწი“ ყან-ჩაველი

საიუზტრანსის ქუთაისის განყოფილების გამგე ლადიკო ყანჩაველი ცნობილია თავის „მანინაციებით“. ამას წინადა ქუთაისელმა ვაჭარმა ლადიკომ ორი პარტია ტყაყი მიიღო სა: დღანაც. უკანასკნელი პარტია გაჩნდა: ჭუთ. სადღურში, მაგრამ ლად. ყანჩაველის განკარგულებით „ლიდაძის ქოთელი დააკავეს, მორჩე კოლხს“ ვ. ლადიმ მიიპატიუა ყანჩაველი ლად. „მანინაციით“ წაიქე-

ლენ... გაღეშული ყანჩაველი ვაჭარ ზვიადიძის თანხლებით მობრძანდა სადღურში და უბრძანა საქონელი ჩაეხარებოთ ზვიადიძისათვის.



ვისაც რა უნდა ვუყვარდეს, სულ სხვაა ჩემი ტრფიალი; მიყვარს ქუთათურ ვაჭრებთან სავსე ყანწების ტრიალი; თავი მოუკვდეთ ზოგიერთს ვერ სცნობენ პირის გემოსა, და მუქდად ღვინოს საყლაპად არ ნახულობენ „გემოსა“ საქონელს არვის გავატან არ ვაზარალებ თავს, არა; თუ არავინ წამაქეიფა და თუ არ წამაქანასა რამ გიქი ვარ, — მუქთად გაუშვან? ობით მეცება პირი მე. ჩამალევი, ვაჭარო, შენი „დაზოდის“ ჭირიმე

„ფხიზლები“

კოოპერატივის კუთვნილი სხვადასხვა საქონელი ზოგიერთ ადგილებში ეზოში და ქუჩებშია დაყრილი უპატრონოდ და ყურადღებას არავინ აქცევს...
გაზეთებიდან.



ნეტამც არ დაგძინებოდა შენ; გამგეობავ, ნარზედა, მეტრნეობას არ უვლი, რული გადგება თვალზედა, და შტეინველის თევზივით გილპება, ხდება ქონება, ან შტატს რომ ირჩენ გაბერიო რას ვიკარნახებს გონება? ნეტამც არ დაგძინებოდა შენ, გამგეობავ, ნარზედა, გამოგიქროლებს მუშკომა, „წაგიყვანს მალლა, მთაზედა“

განცხადება

დაობლებულია, გზადაზნეული და გულდამწუხრებული თფილისის მოქალაქენი აუწყებენ თფილისის საბჭოს ახალ შემადგენლობას, ტრამვაის დირექტორს და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა ძვარფასი, დაუფიწყარი და ტკბილოდ მოსაგონარი ტრამვაის



„ბ ა ჩ ი რ ე ბ ა“

პანაშვიდი ყოველდღე და ყველა ტრამვაის ყოფილ განაჩერებელ ადგილებზე დაკარგულის აღმოჩენამდი.

— ხრასტი, ხხა... საქონელ...
დაყოფილებო დრაგეცხედა,
დას... უკლიდან...
წავიდა თქვენი...
ხად...
რა გინახათ?
ტროსები
აუ... ვთ?
— ვილუპებო

ქვიზნაზე
არ ყოფილა ჩვეულის სვება;
„საიუზტრანს“ ა... დაგვბნა,
„საიუზტრანს“ ა... შევბა.
— პავლის ვართ, რჯული, ხატ
გეფიცებ. მზეს და მთვარეს;
„საიუზტრანსის“ წყალობით კი
ვილაჟ პეტრე ჩავეიბარებს.

გაფრთხილება

სად. სტალინის სადღურის უყროსის თანაშემწემ ვასილ მიმინოშვილმა სრულიად უმიზეზოთ ფიზიკური შეურაცყოფა მიიყენა ორთქლებვლების გამყოლს იასონ ხაჩიაძეს.



მიმინოშვილსა ვასიკოს. სტალინისეღსა ძიასა მუშების ცემა სკოლია, აძახებს „წიავ — წიავსა“

ხახამი ხახა მურალია

(ქუთ. ებრ. ცხოვრებიდან)

„უაქტ“ № 27

ბეშალას დილა გათენდა,
ამინდი კარგი დგებოდა.
ჩვენი ჭალარა ხახამი
სალოცავს შიადგებოდა.
სისიხით ხახამ დავითი
თებაზე გადმოდგებოდა;
რა გადახედავს — ჯამაათს
აქლდება, — გულზე სკდებაო.
მგრამ გულს მაინც არ იტყენს,
მორწმუნეთ ესალმებოდა;
შაბათ შალომ, შვილებო,
ჯამათი სად ქრებაო!
იმახშემო, თიფაზრუხო,
რა დღეს მომასწრო ღმერთმაო,
ახლოგზარდები გაგვირბის
სხეებს რაღა ემართებოდა.

უწინ დღესი დღეს ბეშალასს —
აქ ხალხი არ ეტყევო;
შინ, ბატი, თევზი, კორკოტი
ნაშქარიც პირში დნებოდა.
დღეს თევზსაც აღარ აკურთხებთ
სეყულა დაბათლებოდა,
სულ დაივიწყეთ კიდულში,
ემეთ ღმერთა ეწყინებოდა.

აქალებოსკენ ვახედავს,
ჭალები კოტა ჩნდებაო.
ვინც არის — მოსუცებული
შანდილში იმალებოდა.

დაიწყო ბერახეები
სეფერი „აბრძანდებაო“
ხალხი მაინც არ მატულობს,
ხახამი გულზე სკდებაო.
რა შეინახეს ხეფერი,
სუყველა იბარებოდა:
„მოვასწროთ გაისწიოთ თვარა,
ნეღაბა დაიწყებოდა.
ვეაჭრობდით, ხალხს ვატყუებდით,
და ფულიც მეტი გვეჭინდაო,

დღეს ჩვენ არტელში ვმუშაობთ,
გვეოფნის ფული არ გვრჩებაო.

ჭკუაზე მოდი, ხახმო,
ნერვები ნუ გეშლებოდა:
ეგ სალოცავის შენობაც
ჩვენ კლუბად გავვიხდებოდა.
ხახამი ხახამურალია,
თვის გულში იწყევლებოდა:
— იომე, ღმერთო იმათზე,
ვინაც რაჯულს გაუღლებოდა.

ისინიც წყალობაც წაიღოს,
მე... მე რა მეშვილაბოდა;
ჩვენ კომკავშირულ გოგო-ბიჭს
დღე - დამ ეს ელანდებაო:
სინაგოგისა შენობა,
კლუბათა გამოცეგებოდა;
იტყვიან, ასრულებენ
შათ წინ გინ აღუღებოდა.

იმანი.

უსნოგი (ხაჯახმული) სიტყვების მნიშვნელობის განმარტება.

- ბეშალას — კორკოტობის შაბათი.
- სისიხი — ლოცვის დროს შემოსახვევი.
- თება — ტრაპეზი.
- შაბათ შალომ — შაბათის სალამი.
- იმახშემო თიფაზრუხო — წყევლი, არა-წმირა.
- სეყულა — შაბათ დილის საუზმე თევზით.
- კიდულში — ნაკურთხი ღვინო.
- ემეთ — ქეშმარიტად.
- საქალებო — სალოცავის კედელთან ქალე-ბისთვის განყოფილება.
- ბერახეებო — დილის ლოცვა.
- სეფერი — ათი მცნება.
- ნეღაბა — ფულის შეგროვება ღირებები-სათვის.

ს უ ფ ს ა

ნოქრად ვშახურობ „ეპო“-ში,
ვარ სუფსის კეისარი;
სირაძეთ მოდგმას ვეკუთვნი,
შქვიან შე ყაისარი.
როგორც კეისარს სუფსაში
მე შემეძინა ვაჟია;
მოგნახე ფიშტო-დაძაჩა
და: ვეღლებული კაჟია.
იტოცნელით, შუა ბაზარში
აქტეხე სროლა განჯაში,
შიგ აურიე ვინტოვაც,
არ დამჩა ტყვია ნაჯანში.
სად მილიცია გამოჩნის,
და: ყარაულთა ლაშქარი;
მორბიან, მოიძახიან:
„აროქა, ბიკო, დაქარი“.
შეიქნა დიდი ჩოჩქოლი,
მორბის დიდი და პატარა,
მოაწყდა მთელი არმია,
დაკრეს ბუკი და ნალარა.
სიფეს: — ბანდიტი ვილაცა,
მოუჭრათ გზა და ავლიო;
ნუ მოვკლავთ, ცოცხლად შევიბყრათ
მარღათ გეჭიროს თვლიო.

როცა ვავიგე, ეს ხალხი
აღშფოთებულა ტყუილადო,
გაძოვიდი და ვუთხარი
ლიმილით, მეგობრულადო:
— არავითარი ბანდიტი,
ასეთი არაფერია,
მღლობელი ვარ ნახვისთვის,
აშენდა თქვენი კერია.
და ამის შემდეგ საჩქაროდ
მიმეპარინა რა ხოში,
ერო ბოთლს არაყსა ვუყავი
„ნალიკანიე“ ყლაპოში.
თორმე ამ თხერს სცოდნი
თვალეების აბრიალება.
და გაჩერებულ საგნების,
ვით ქვეყნის დატრიალება;
იჩნებ ვსტყუილდე, მაგრამ მე
აუც მეჩვენა ბაზარი
სად ვახუყრელი ჩემი ძმა
გვერდს მიმწვებდა ლაზარი.
ჩვენს შორის დარჩეს და ისე,
ერთი რამ აქაც მივპარე,
ბოთლი დაეარტყი ვნოსა,
სახლისკენ გამოვიარე.
ჯერ ასე იყოს, შემდეგ კი
ფურო დიდ რამეს მოველი;
მსუპუქსა კავალთობა
თუ არ გამოგო ყოველი.

ნომერ ოცდა შვიდი უაქტი —
სწორ გზით განზე გაბტის...
(პროტექციაში იფლობა —
მოუხდება ლახტი!...)

ბნელადის ოცდაცამეტში, —
ო, რა არა ხდება?!
(მარა, უაქტის თვალსა და ყურს —
„ეტყობა არ ხვდება!“).

აღარც ვაფრთხილებ შველის —
არც ვახეთში წერა!
(„ნიანვი“, ბასრი კბილებით,
გააფრთხილებს, მჯერა!).

სახლი უპატრონოთ გდია —
უაქტში რას სჩადიან?!
(პატრონობისთვის კი არა —
აქ „სხვაზე“ დადიან!).

მცხოვრებთ ძალად ჩამოართვა —
მან, ოთახად „კუხნა“.
(სადაც ახლა ვინმე „მარგოს“
დაუწყია ბუქნა!
მასალაც ოთახისათვის,
ვეგონებ უაქტმა უქნა!..)


ბევრი „უაქტი“ ქირისათვის —
ბოროტ გადამხდელებს:
ებრძვის... მარა, „ჩვენი უაქტი“
აქ აფარებს ხელებს!..

ვაჭრის ოჯახს, გვარ გამოცვლილს,
ჩამოსწერა ქირა!
(ი ამან და ბევრმა სხვამ
მეც კი ამაყერია!..)

თუ თვით „უაქტს“ არ გაეღვიძა,
ამ ბოროტი ძილით:
იქ მჯდომ „თაიბს“ მოუხდება
დაძერა შორ მანძილით.

ახმა.

მუშაობის სიძლერა (მარან-ჭალა)



დავდომილი, სწული,
უნუგემოდ ვსტირი მე.
არ მივარგა შენობა,
რა ვქნა, თქვენი პირიმე.

წინ გამოიბოდა ევტობი,
სოფსაბჭოს თავმჯდომარეო;
ამოიბდა: — ბრძოლა გვექნება
დაუნდობელი, ცხარეო.

მანდი.

მარნელი ქაჯი.



მარტო გარეუბანი არ გვგონოთ!

ნიღრიკს (აქვე). გვწერთ, რომ, კამოს ქუჩაზე მდებარე ლუდის ქარხანამ დიდძალი ბოთლები შეიძინა, დაჰყარა ეზოში და გავლელი ბავშვები ქვების სროლით ამტვრევინებენ ბოთლებს.

კარგი იქნებოდა, რომ ერთხელ მაინც მოხვდებოდეს თავზე ბავშვიდან გასროლილი კენჭი ლუდის ქარხნის ერთ-ერთ ბიუროკრატს. ალბად მაშინ მოვიდოდენ გონს და საქმესაც უურაღლებას მიაქცევდენ.

გულშემატკივარს (ქუთაისი) გვწერთ, რომ ჩარჩხვეკულიანტებს კოოპერატივიდან ხელში უფარდებით დეფიციტისანი საქონელი და გამოაქვთ ბაზარზე:

გასაკვირალი მხოლოდ ის არის—

სად შოულობენ ამდენს ფართალსა.

ან მილიცია რათ არ აღაგმავს,

უურს ვინ ათხოვებს სიტყვას მართალსა.

განა ჯერ კიდევ ცოტა არიან ყოფილნი ვაჭრები კოოპერატივებში?

ღორს (თიანეთი). მივიღეთ თქვენი „რაიონი სადაც ყველაფერი რიგზეა“. ყველაფერი რიგზე რაიონში კი არა, თქვენს ამ წერილშიაც არ არის:

ზოგი უცქერის შორიდან—

მწვადი შიშინებს ქაფითა.

ზოგი ჭამს შემწვარ ფარიას,

ზოგიც — ინდაურს ფაფითა.

შე კაი კაცო, აბა, უმად ხომ არ შეგხმდა ვარიას! ტყვილად გვონათ, თითქოს, საბჭოთა მშრომელ მოქალაქეს აწყენდეს შემწვარი ვარია, თითქოს „შემწვარი“ ბურჟუაზიულია, ხოლო მოხარშული — არა ბურჟუაზიული.

ზუგდიდელს (ზუგდიდი) რატომ არ იწერებთ, თუ რომელი მელიტონია, რომ:

ხელი მოჰკიდა ჩარჩობას,

— ეხლაო ჩემი ჯერია.

მას სიძე ხანდრო დაჰყვება,

სიმამრის ბუშღალტერია.

ტან-ლს. წავიკითხე ბოლომდე, მაგრამ სიცილი კი არა გალიმებაც არ გამოუწვევია. ეს მცირე, მარტივი რომ პატარა წერილში მოგეთავსებანა, მაშინ წერილს მეტი მართალი ექნებოდა და ელირებოდა „ნიანგი“-ს ფურცლებზე გამოსვლა.

ალიმენტს (სოხუმი) რატომ „ალიმენტი“? ალბად ალიმენტს თუ აძლევ მუხას, რომლისთვისაც გეტყობათ, ძალა დაგიტანებიათ:

ამას გწერ მე სოხუმიდან

კაი ბიჭი „ალიმენტე“.

ელსა წერას მივატოვემ,

ესეც კმარა, იყოს მეტი.

მასალა უკეთ უნდა სწეროთ და უკეთესად უნდა დააშუწოთ.

ლ. გ. ლის (ბათუმი). ვექილ თუმანიშვილზე გვწერთ, რომ:

სიცრუით არის აღსავსე,


ყველგან დაძვრება თამამად;

იცავს აფერისტ - მძარცველებს,

ურცხვად ტყავს აძრობს ერთ-სამად.

თუ სხვებს „ტყავს ერთ - სამად აძრობს“, მასაც მოუტდება ერთმხედრად მაინც „ტყავის გაძრობა“, რასაც, ალბად, წმენდკომი არ დაიზარებს.

„კულაკის მოღვაწეობა“



— ძველად იყო და, ზოჯაულსა და მამასახლისის კისერს ვატყვინებდა!

— გლეხებს პურმარილით ვუმასპინძლებოდი!



— ანტი-რელიგიურ კამპანიას ვატარებდი!

— ვიბრძოდი ქალის განთავისუფლებისათვის!



— კოოპერატივს საქონელს ვუსაღებდი.

ვიბრძოდი კოლექტივიზაციისათვის.



— და ასეთი მოღვაწე კაცი საბჭოში არ გამოეცანეს, გამაშავეს. ზმა აწართვეს!